

2024 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის დაფინანსების წესი

**§ 1. სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტების შეფასების შესახებ.**

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს № 172/ნ-ის ბრძანებით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტები გადაეცემა კომისიას, რომელიც მათ შეაფასებს სათანადო ქულებით.

**§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების შესახებ.**

1.  $n_1$ -ით აღინიშნება სამეცნიერო კვლევითი პროექტების მიმართულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 11-ზე მეტი ან ტოლი ქულით.  $n_2$ -ით აღინიშნება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის მიმართულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით.  $n_3$ -ით აღინიშნება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - სეზონური სკოლებისათვის მიმართულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით.
2.  $N$ -ით აღინიშნება

$$N = 6n_1 + 4n_2 + 3n_3$$

3. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{6n_1}{N};$$

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმების მიმართულებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_2 = \frac{4n_2}{N};$$

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - **სეზონური სკოლების** მიმართულებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_3 = \frac{3n_3}{N} ;$$

4. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$b_1 = Bk_1.$$

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - **კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის** მიმართულების ბიუჯეტი განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$b_2 = Bk_2,$$

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - **სეზონური სკოლებისათვის** მიმართულების ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$b_3 = Bk_3,$$

სადაც,  $b_1$  არის სამეცნიერო კვლევითი მიმართულების ბიუჯეტი,  $b_2$  არის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების- **კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის** მიმართულების ბიუჯეტი,  $b_3$  არის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების- **სეზონური სკოლებისათვის** მიმართულების ბიუჯეტი, ხოლო B არის კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

### **§ 3. დაფინანსების წესი.**

1. თითოეული ზემოთ აღნიშნული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით ფინანსდება მხოლოდ 11-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - **კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის** მიმართულებით ფინანსდება მხოლოდ 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების - **სეზონური სკოლებისათვის** მიმართულებით აგრეთვე ფინანსდება მხოლოდ 32-ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ)

სანამ მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.

3.  $r_1$ -ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება სამეცნიერო კვლევითი მიმართულებიდან.  $r_2$ - ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების- **კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და ფორუმებისათვის** მიმართულებიდან, ხოლო  $r_3$ - ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც ნაშთის სახით დარჩება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების- **სეზონური სკოლებისათვის** მიმართულებიდან.

R- ით აღინიშნება სამივე მიმართულებიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი:

$$R = r_1 + r_2 + r_3.$$

4. R თანხით ფინანსდება<sup>1</sup> დაფინანსების გარეშე დარჩენილი პროექტები, მიმართულებების მიუხედავად, რომლებიც აკმაყოფილებენ დაფინანსების მოპოვების აუცილებელ პირობას და რომლებიც პროცენტულად ყველაზე ნაკლებად იქნებიან გადახრილი შესაბამისი მიმართულების მაქსიმალური ქულისგან.
5. ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი რიგით შემდეგი პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

---

<sup>1</sup> რა თქმა უნდა თუკი R თანხა იძლევა პროექტის (პროექტების) სრულად დაფინანსების საშუალებას